2021 წლის 2 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის - „**საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი: ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ასპექტები და თანამედროვეობა**“ (FR-19-8876) ფარგლებში, ქალაქ ქუთაისსა და ქვემო იმერეთის მხარის (ხონის, სამტრედიის მინიციპალიტეტების) სოფლებში საველე-ეთნოგრაფიული სამუშაოების ჩასატარებლად, მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ნინო მინდაძე** (პროექტის ხელმძღვანელი); ექსპედიციაში ასვე მონაწილეობდა პროექტის ძირითადი პერსონალი: ამავე განყოფილების უფროსი მეციერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი **ნინო ჩირგაძე,** მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი **ლელა ნებიერიძე** და თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტი **ელისო ჭელიძე.**

ველზე მოპოვებული მასალა გაიშიფრა, მომზადდა მისი ელექტრონული ვერსია. საველე მასალისა და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე, გამოიკვეთა რამდენიმე ახალი მოსაზრება, მომზადდა სამეცნიერო სტატიები.